საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გრიგოლია ნოდარ გიორგის ძე

გრიგოლია ნოდარ გიორგის ძე (დ. 1. VI. 1945, სოფ. ჭოგნარი ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1989), პროფესორი (1994). 1968 დაამთავრა თსსუ. 1971-იდან მუშაობდა თსსუ-ის საფაკულტეტო ქირურგიის კათედრაზე (1994-იდან – კათედრის გამგე). 1995–2010 მოსკოვის, მიუნხენის და ევროპის სხვა წამყვან კლინიკებში მიწვეული იყო პროფესორის სტატუსით. გ. არის თსსუ-ის სადისერტაციო საბჭოს წევრი, 1995-იდან – თბილისის გრ. მუხაძის სახ. ქირურგიული საზ-ბის თავმჯდომარის მოადგილე. საერთაშ. ევროპის ქირურგთა ასოციაციისა (1998) და საერთაშ. გასტრო-ჰეპატოლოგიური საზ-ბის წევრი (1994). გ-ს ეკუთვნის მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. 7 მონოგრაფია, 2 გამოგონება და 4 რაციონალიზატორული წინადადება. გამოცემული აქვს 6 სახელმძღვანელო. მისი სამეცნ. ნაშრომები ეხება გასტროენტეროლოგიის აქტუალურ საკითხებს.

თხზ.: კლინიკური ქირურგია, თბ., 1998; ზოგადი ქირურგია, თბ., 2005; ქირურგიული დაავადებები, თბ., 2009.